ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8037887

ნომერი: AR11154898

თარიღი : 30.07.2026

გაცემის თარიღი : 10.08.2026

გაცნობის თარიღი : 11.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩხაიძე პ/ნ 01008049833
- თბილისი ა.ტაბიძის 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 30

ივლისის №AR11154898 განცხადებით მომართა ანა ჩხაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებით №01.72.14.234.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 13 მაისის №7918567, 2026 წლის 6 ივლისის №7988716 და 2026 წლის 24 ივლისის №8018012 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებით შეთანხმებული +3.20 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდა 2026 წლის 23 ივნისის №AR11149198 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული +3.20 ნიშნულის არქიტექტურული გეგმით. ხოლო, -2.80, 0.00, +15.60 და +18.70 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2026 წლის 17 ივლისის №AR11152998 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 579.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 540.4 კვ.მ., კომერციული ფართობი 1299.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1268.7 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1988.5 კვ.მ-ის ნაცვლად 2027.5 კვ.მ. დამხმარე ფართობი 41.4 კვ.მ-ის ნაცვლად 72.6 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და არქიტექტურული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აღნიშნული ტექნიკურ შეცდომის გასწორება არ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს: 540.4 კვ.მ., კომერციული ფართობად: 1268.7 კვ.მ. საზაფხულო ფართობად: 2027.5 კვ.მ. დამხმარე ფართობად: 72.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018012 ბრძანებით ჩანაცვლებული) -2.80 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7899511, 2026 წლის 13 მაისის №7918567, 2026 წლის 6 ივლისის №7988716 და 2026 წლის 24 ივლისის №8018012 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge